

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების შესწავლა  
(2019-2022 წ) და სქესობრივი განათლების დონის შეფასება საქართველოში

მარიამი ჯელია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკისა და  
მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

ხელმძღვანელი: ირმა ბურჯანაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2024

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამი ჯელია , 07.06.2024წ

## აბსტრაქტი

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები/ინფექციები ვრცელდება ვაგინალური, ანალური ან ორალური კონტაქტით. ზოგიერთი სგგი კი შეიძლება გადაეცეს დედიდან შვილს ორსულობის, მშობიარობისა და ძუძუთი კვების დროს. ყველაზე გავრცელებულ სგგი-ებს მიეკუთვნება გონოკოკური ინფექცია, ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი და სიფილისი.

ნაშრომის მიზანია საქართველოში სგგდ-ების გავრცელების შესწავლა სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით და სექსობრივი განათლების დონესა და სგგდ-ის გავრცელებას შორის კავშირის დადგენა. მიზნის მისაღწევად გამოყენებულ იყო როგორც აღწერილობითი ეპიდემიოლოგიური ანალიზი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდი.

აღწერილობითი ანალიზის ფარგლებში მოხდა 2019-2022 წლების განმავლობაში საქართველოში გამოვლენილი სგგდ-ების სტატიტიკური მონაცემების შესწავლა, რომელიც გამოთხოვილი იყო ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა ონლაინ-ანკეტირების მეთოდის გამოყენებით და კითხვარი მოიცავდა 16 დახურულს და 2 ღია კითხვას. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა საქართველოში მცხოვრები, 18 წლის ასაკის ზემოთ მოსახლეობა. კვლევის ფარგლებში შემუშავებული კითხვარის მეშვეობით სულ გამოიკითხა 202 რესპონდენტი.

ჩატარებული აღწერითი ეპიდემიოლოგიური ანალიზის შედეგად გამოვლინდა რომ საქართველოში უმეტესად გავრცელებულ სგგდ-ებს მიეკუთვნება გონოკოკური ინფექცია, ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი და სიფილისი. ყველაზე მეტი შემთხვევა ფიქსირდება თბილისში, 20-29 ასაკობრივ ჯგუფში. კვლევის ფარგლებში შეფასდა რესპონდენტების ცნობიერების დონე სგგდ-ების შესახებ და გამოვლინდა სქესობრივი განათლების მიღების ხელისშემშლელი ფაქტორები. აღმოჩნდა, რომ სგგდ-ების შესახებ ინფორმირებულობის დონე დაბალია. რესპონდენტების მხოლოდ 30.2% ფლობს

სიმპტომების შესახებ ინფორმაციას და 33.7%-მა იცის მისი გართულებების შესახებ. რაც შეეხება სქესობრივ განათლებას, გამოკითხულთა 79.2% მიაჩნია, რომ სქესობრივი განათლების დაბალი დონეა საქართველოში. გარდა ამისა, კიდევ არსებობს სტიგმა, რის გამოც თავისუფლად ვერ საუბრობენ აღნიშნულ საკითხზე და ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები ინფორმაციის მიწოდების წყაროების მხრივ.

**დასკვნა:** საქართველოს მოსახლეობის მცირე ნაწილი ფლობს ინფორმაციას სგგდ-ების შესახებ. ინფორმაციის მიწოდებაში ნაკლები როლი უკავიათ სამედიცინო პერსონალს, ძირითადად მოსახლეობა აღნიშნულ ინფორმაციას ინტერნეტიდან იღებს. დღესაც უჭირთ ხმამაღლა საუბარი სტერეოტიპების არსებობის გამო, რაც ხელს უშლის სქესობრივი განათლების დონის ამაღლებას. მიუხედავად ამისა, გამოკითხულთა უმრავლესობას სურს სქესობრივი განათლების ამაღლება, სასწავლო დაწესებულებებში მათი სწავლება და აუცილებელია საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარება

**საკვანძო სიტყვები:** სგგდ, სქესობრივი განათლება, აღწერილობითი ეპიდემიოლოგიური ანალიზი, რაოდენობრივი კვლევა, ცნობიერების დონე

## Abstract

Sexually transmitted diseases/infections (STIs) can be spread through vaginal, anal, or oral contact and can also be passed from mother to child during pregnancy, childbirth, and breastfeeding. The most common STIs include gonococcal infection, chlamydia, trichomoniasis, and syphilis.

**The aim of the paper** is to study the spread of STDs in Georgia according to different characteristics and to determine the relationship between the level of sex education and the spread of STDs. Both descriptive epidemiological analysis and quantitative research methods were used to achieve this goal.

The descriptive analysis involved studying the statistical data of STDs detected in Georgia between 2019 and 2022, as per the request of the National Center for Disease Control and Public Health named after L. Sakvarelidze. Quantitative research was conducted through an online survey, including a questionnaire with 16 closed and 2 open questions. The target group for the survey was the population over 18 years old living in Georgia, and a total of 202 respondents were interviewed within the framework of the study.

Results from the descriptive epidemiological analysis revealed that gonococcal infection, chlamydiosis, trichomoniasis, and syphilis are the most common STDs in Georgia, with the majority of cases recorded in Tbilisi among individuals aged 20-29. The study also evaluated the level of awareness of the respondents about STDs and identified the factors hindering the reception of sex education. It found that the level of awareness about STDs is low, with only 30.2% of the respondents having information about symptoms and 33.7% knowing about its complications. Regarding sex education, 79.2% of respondents believe that the level of sex education is low in Georgia, and there is still a stigma preventing open discussion about the issue.

**In conclusion**, the study revealed that a small part of the population in Georgia has adequate information about STDs, and there is a lack of effective sex education. While medical personnel play a minimal role in providing information, the majority of the population obtains information from the Internet. Despite the existing stigma and stereotypes, the study found that the majority of respondents want to increase sex education and advocate for its inclusion in educational institutions. The study recommends the implementation of educational measures to raise awareness about STDs and improve sex education in Georgia.

**Keywords:** STD, sex education, descriptive epidemiological analysis, quantitative research, level of awareness